

პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) იხილავს 86.5 მილიონი აშშ დოლარით (63.7 მილიონი ევრო) შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (შემდეგში „მსესხებელი“) დაკრედიტების საკითხს შემდეგი მიზნობრივობით: შუახვევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარება, მშენებლობა და ექსპლუატაცია. ობიექტი განთავსდება მდინარე აჭარისწყალზე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში (შემდეგში „პროექტი“). შუახვევის ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 185 მეგავატი იქნება, და ელ. ენერჯის გამომუშავება შეადგენს 452 გიგავატ/სთს. ჰიდროელექტროსადგური გათვლილია დღიური რეგულირებისათვის და გააჩნია ორი რეზერვუარი, რომლებიც შუახვევის ჰიდროელექტროსადგურს 12 საათამდე წყლის მარაგის შენახვის საშუალებას აძლწევს, რაც ხელს შეუწყობს ელექტროენერჯის რეალიზაციას პიკური მოთხოვნის საათებში.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტის ეფექტი გარდამავალ პერიოდში სამი ფაქტორიდან მომდინარეობს:

- (i) კერძო მფლობელობის სტიმულირება, რაც ბაზარზე ახალი კერძო კომპანიის შესვლით იქნება განპირობებული. ამით ის კონკურენციას გაუწევს სხვა საწარმოებს საქართველოს ელ. ენერჯის გენერაციის ბაზარზე,
- (ii) პროექტის ფარგლებში დაფინანსების ახალი მეთოდის შემოტანით, რაც საქართველოში ელ. ენერჯის წარმოების სფეროში პირველი პროექტი იქნება შეზღუდული მოთხოვნის დაფინანსების საფუძველზე (limited recourse financing),
- (iii) კორპორატიული მმართველობისა და ბიზნესის წარმოების სტანდარტების დანერგვით, რაც ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განხორციელებისთვის გაუმჯობესებული სტანდარტების შემოღების პოტენციალიდან მომდინარეობს. ეს საქართველოში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვით მოხდება.

კლიენტი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ საქართველოში დარეგისტრირებული საწარმოა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში მდინარე აჭარისწყალზე სამი ჰიდროელექტროსადგურის კასკადის აგებას. მათგან პირველი იქნება შუახვევის ჰიდროელექტროსადგური. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მფლობელები არიან „ქლინ ენერჯი ინვესტი“ (40%), „თათა ფაუერი“ (40%), და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (20%).

ევრობანკის დაფინანსება

დაახლოებით 86.5 მილიონი აშშ დოლარი (63.7 მილიონი ევრო).

პროექტის ღირებულება

417 მილიონი აშშ დოლარი (307 მილიონი ევრო).

გარემოსდაცვითი ეფექტი

ევრობანკის 2008 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით პროექტს მინიჭებული აქვს A კატეგორია, ვინაიდან პროექტი გულისხმობს 39 და 22 მეტრის სიმაღლის ორი კაშხლის აგებას და ორივე აღემატება ევრობანკის ხსენებულ პოლიტიკის პირველ დანართში აღნიშნულ 15 მეტრის სიმაღლის ზღვრულ მაჩვენებელს. გარდა ამისა, გარემოზე ზემოქმედების არეალშია კიდევ ერთი დიდი, 19 მეტრის სიმაღლის, კორომხეთის კაშხალი და მასიური გვირაბი როგორც პროექტის ტერიტორიაზე, ასევე მისი გავლენის არეალში.

სპონსორებს დაქირავებული ჰყავთ საერთაშორისო კონსულტანტი, რომელმაც გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება მოამზადა. სპონსორებმა საჯარო მსჯელობა მოაწყვეს შენიშვნებისა და კომენტარების მისაღებად. წარმოდგენილი პაკეტი მოიცავს შემდეგს:

- არა-ტექნიკურ ანოტაციას,
- გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შეფასებას.
- გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის გეგმებს,
- მშენებლობის მართვის გეგმებს,
- ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას,
- მიწის ნაკვეთების შესყიდვისა და მიწის საფარის აღდგენის გეგმას,
- დაინტერესებული წრეების ჩართულობის გეგმას,
- ეკოლოგიურ და სოციალურ სამოქმედო გეგმას.

გარემოზე და სოციალურ საკითხებზე ზეგავლენის შეფასების პაკეტი ამჟამად საჯაროდ განიხილება ევრობანკის საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის შესაბამისად, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ყველა შემოსული შენიშვნა და კომენტარი. ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული შესწავლით განისაზღვრა, რომ გარემოზე და სოციალურ საკითხებზე ზეგავლენის შეფასების პაკეტი დასახულ მიზნებს და ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ობიექტის მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გარემოსა და სოციალური რისკები და გავლენა შეფასებულია საუკეთესო პრაქტიკის თანახმად და გავლენის შემცირების შესაბამისი ზომები გათვალისწინებული იქნა ეკოლოგიურ და სოციალურ სამოქმედო გეგმაში.

ევრობანკსა და სპონსორებთან შეთანხმებული ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმა გულისხმობს მნიშვნელოვან ზომებს, რომელთა განხორციელებაზე სპონსორები

თანხმობას აცხადებენ იმისათვის, რომ ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნები დაკმაყოფილდეს პროექტის მოქმედების მთელ პერიოდში.

პროექტზე მონიტორინგს ევრობანკი განახორციელებს ეკოლოგიურ და სოციალურ სამოქმედო გეგმაში, ასევე მარეგულირებელი ნორმებისა და სამოქმედო მოთხოვნების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

ამ პროექტის გარემოზე და სოციალურ საკითხებზე ზეგავლენის შეფასება ხელმისაწვდომია ინტერნეტში ამ მისამართზე.

ტექნიკური თანამშრომლობა

ტექნიკური თანამშრომლობა ამ პროექტს არ ეხება

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ბიორნ ბრანტზაეგი

ადმსრულებელი დირექტორი

+47 9826 3966

პიტერ რაე

პროექტის დირექტორი

+995 (8) 9335 4999

ნინო დიასამიძე

პროექტის კოორდინატორი

+995 (8) 9335 4999

ბიზნესის შესაძლებლობები

ბიზნესის შესაძლებლობებსა ან შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაკლავშირებით კლიენტ კომპანიას

ზოგადი ინფორმაცია

შესყიდვების საკითხების გარდა პროექტთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ევრობანკში:

ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380

ელ-ფოსტა: : projectenquiries@ebrd.com

პოლიტიკა ინფორმაციის საჯაროობის შესახებ

ინფორმაციის საჯაროობის შესახებ შემუშავებულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის საჯაროობისა და აქციონერებთან კონსულტაციების მექანიზმები, რომლების გამოიყენება უკეთესი საზოგადოებრივი შემეცნებისა და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის გაცნობისათვის.

[Text of the PIP](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი

ცავლელი პირების ან ხალხთა ჯგუფის მიერ, ასევე ორგანიზაციების მიერ ევრობანკის დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად ევრობანკმა შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი. ეს მექანიზმი მოქმედებს როდესაც არსებობს ვარაუდი დამდგარი ან შესაძლო ზიანის შესახებ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის განმსაზღვრელი წესებისა და პროცედურების გასაცნობად იხილეთ შემდეგი ბმული: www.ebrd.com/downloads/integrity/pcmrules.pdf, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <http://www.ebrd.com/downloads/integrity/pcmrulesr.pdf>.

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს ევრობანკის მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პასუხისმგებელ პირს (ელ ფოსტა:) ან დახმარებისათვის მიმართეთ ევრობანკის ადგილობრივ წარმომადგენლობას თუ გსურთ გაიგოთ კონკრეტულად რა ვადებშია შესაძლებელი საჩივრის წარმოდგენა.